ბასა ჯანიკაშვილი

სულიკო

კომედია ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

მალხაზ ქუმსალია – ახალგაზრდა გარდაცვლილი მამაკაცი

სულიკო – ახალგაზრდა ცოცხალი ქალბატონი. მალხაზის ქვრივი

თენგულა ასათიანი – მალხაზ ქუმსალიას გარდაცვლილი ასაკოვანი მეგობარი

ბისმარკ კაპანაძე - მალხაზ ქუმსალიას გარდაცვლილი ახალგაზრდა მეგობარი

გია სალაძე – ახალგაზრდა გარდაცვლილი მამაკაცი

მიქელი – სასაფლაოს კარიბჭის გასაღებ მპყრობელი. გარდაცვლილი მამაკაცი

ნინა – კოჭლი მოხუცებული, მაგრამ ცოცხალი ქალი. სასაფლაოს მომვლელი

მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორებს თავად უყვართ გასაღების მონახვა და დრამატურგის რჩევას ხშირად არ ითვალისწინებენ, მაინც გავკადნიერდები და საკუთარი პიესის დადგმასთან დაკავშირებით მოსაზრებას გამოვთქვამ. გმადლობთ.

რადგან პიესაში საქმე გვაქვს ცოცხალ და გარდაცვლილ ადამიანებთან, მნიშვნელოვანია, რომ დიალოგი ამ ორ სუბსტანციას შორის არ შედგეს. თეატრის რეჟისორს არა აქვს საშუალება კომპიუტერული ეფექტებით დაგვაჯეროს, რომ საიქიოში სიცოცხლე არსებობს, მაგრამ ის, რაც ვერ შეძლო თანამედროვე ტექნიკამ, შესაძლებელია პერსონაჟებს შორის სწრაფი დიალოგის, პაუზის გარეშე დაწყებული ტექსტებისა და ურთიერთგაუგებრობის ხარჯზე. ამით რეჟისორი მეტ დამაჯერებლობას მიაღწევს. ცოცხალი და გარდაცვლილი გმირები ერთმანეთს მიმართავენ, მაგრამ აქ ქაოსის შესაქმნელად სწორი რიტმის დაჭერაა საჭირო.

რა თქმა უნდა, პრიორიტეტს ცოცხალი პერსონაჟი ფლობს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი ყველას ესმით – ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. ამიტომ, ეს „პრიორიტეტი“ ცოცხალი გმირის შესაძლებლობაა.

ჰამლეტი – ბოროტი კაცი, დანიაშიც ბოროტი არის.

ჰორაციო – მაგის საცნობად რად გვინდოდა აჩრდილის მოსვლა?

უილიამ შექსპირი – ჰამლეტი, დანიის პრინცი

პირველი მოქმედება

პროლოგი

(სცენა წარმოადგენს სასაფლაოს, არაერთი ბიუსტითა და უსწორმასწორო საფლავის ქვებით გაწყობილს. საკუთარი ორიგინალურობითა და მოქანდაკის თამამი გადაწყვეტილების შედეგად, რამდენიმე საფლავის კომპოზიცია ელადის კულტურული მემკვიდრეობის უხარისხო ანაბეჭდს ჩამოჰგავს. მაგრამ, ეგ არაფერი. ამ საფლავებს ერთი მოხუცებული ქალბატონი უვლის, სახელად ნინა. ნინა სცენაზე შემოდის. მომდევნო მონოლოგის განმავლობაში, ხან საფლავის ქვას, ხან ბიუსტს წმენდს, ხანაც ძველ ყვავილებს ალაგებს, გზას ცოცხით ხვეტავს, ერთ-ორ საფლავის ქვაზე ყველსა და პურს დებს).

ნინა

მე კოჭლი ნინა მქვია. დიდი ხანია გავიდა ის დრო, როდესაც უბრალოდ ნინას, ქალბატონ ნინას, ნინა დეიდას ან ნინაჩკას მეძახდნენ. რაც თავი მახსოვს, სასაფლაოზე ვმუშაობ. ჩემი მშობლებიც და მათი მშობლებიც აქ მუშაობდნენ. როგორც ჩემი ბებიისაგან მსმენია, მისი მშობლებიც და მშობლების მშობლებიც აქ მუშაობდნენ. ჩემს გვარში ყველას ნინა ჰქვია. სიბერისაგან ყველა კოჭლდება და მიცვალებულებს ხედავს. ისინიც გვხედავენ. მათ ნათესავებს ეს არ სჯერათ, მაგრამ შევეშვი. რა აზრი აქვს? ეჭვის თვალით მიყურებენ. მინდა ხოლმე, კარგი რამე უთხრა, მაგრამ არ ესმით... ადრე, ჩემი მშობლების და მათი მშობლების სჯეროდათ. კარგ ფულსაც უხდიდნენ, მაგრამ ახლა სხვა დროა. მე თვითონ სასაფლაოსთან ვცხოვრობ, აი, იმ ბაღების გადაღმა. იქ ცხოვრობდა ჩემი დედა, ბებია, მისი დედა და ბებიის ბებია. ჩვენი გვარი აქ ცხოვრობს. ასეთი გვაქვს ჩვენ წესი. ისე გამოდის, კაცი რომ კვდება, თითქოს ის მართლა კვდება. ყველას ჰგონია, რომ მოკვდები, მერე სული სასუფეველში ადის. არავის სჯერა, რომ სასუფეველი აქ არის. *(ბიუსტებსა და პორტრეტებზე მიუთითებს).* აი, ამათ ხომ ხედავთ, აი, ესენი არიან. ზოგი აქედან მიდის, ზოგიც მოდის, ზოგიც არ გამოდის, დარდი აქვს გულზე და იმალება. ისეც ხდება... ჩვენ რო მოვკვდებით, მიწაში გვდებენ და ფიქრობენ, რომ მიცვალებულები მართლა მიწაში არიან. *(მოშორებით, გორაზე მდებარე საფლავზე მიუთითებს, რომელიც მოგვიანებით გია სალაძის აღმოჩნდება).* აბა, იმ საფლავს შეხედეთ, მე ხომ ვდგავარ, არა? ის საფლავი კიდე გორაზეა, გორა კი ჩემზე მაღლაა. გამოდის, რომ მკვდარი მე ვარ, იმიტომ, რომ მისთვის მე უფრო ვარ მიწაში, ვიდრე ის. არ არის ასე? ასეა, ასე... თუ მკვდარს მიწაში დებენ, მაშ, როგორ გამოვიდა, რომ ის ჩემზე მაღლაა? ბევრი საფლავი დაივიწყეს, აღარ

მოდიან, მაგრამ მკვდარი თუ მთხოვს, ვუვლი. ზოგს ეგეც არ უნდა. რა ვქნა, მარტო ვარ და ყველას ვერ ვწვდები. თან სიარული მიჭირს. დავბერდი უკვე... ტყუილად კი არ ვარ კოჭლი ნინა?.. ჰო, ვიცი, ვიცი, მე ხო ვგრძნობ, რომ ზურგს უკან – კოჭლი ნინა მოვიდაო, კოჭლი ნინა წავიდაო, კოჭლი ნინა სად არისო, კოჭლმა ნინამ ჩემი საფლავი დაალაგაო... ვიცი... ვიცი, მაგათ რო არ მითხრან, ისედაც ვიცი. ერთობიან, მამაიმუნებენ. მე არ მწყინს. ანდა რა უნდა მეწყინოს? კოჭლი ვარ, ისინი კიდევ მკვდრები. ეს სასაფლაოა, ჩვეულებრივი სასაფლაო... აქ ისინი ცხოვრობენ, ვინც აქ არის დამარხული. ამათი ოჯახის წევრები მოდიან, ნახულობენ, ორ კაპიკს მაძლევენ, რომ მოვუარო. მეც ვუვლი, იმათაც ვუვლი, ვისი პატრონიც არ მოდის. აბა, თუ მკვდარი მთხოვს, არ მოვუარო?

პირველი სურათი

(ადგილი უცვლელია. პრინციპში, სცენაზე სამოთხეა. ყოველ შემთხვევაში, რეჟისორის მიერ წარმოდგენილი სამოთხე. დედამიწაზე (ანუ სცენაზე) ეს სამოთხე სასაფლაოა. იქ გარდაცვლილი მალხაზ ქუმსალიას საფლავი და ზედ დიდი ბიუსტი დგას. ახლომახლო სხვა საფლავებიც მოჩანს. მაგალითად, თენგულა ასათიანის, ბისმარკ კაპანაძის და სხვათა.

მალხაზ ქუმსალია, თენგულა ასათიანი და ბისმარკ კაპანაძე სუფრასთან სხედან და ქეიფობენ. ეს ეგრეთ წოდებული სუფრა – თენგულა ასათიანის საფლავთან მდგარი რკინის მაგიდაა).

მალხაზი, თენგულა და ბისმარკი

(მღერიან) მრაავაა.....

(შემოდის მალხაზის ქვრივი, შავებში ჩაცმული სულიკო. ხელში ყვავილები უჭირავს. სულიკო გარდაცვლილ მეუღლეს და მის მეგობრებს ვერ ხედავს).

მალხაზი, თენგულა და ბისმარკი

(მღერიან) ...აალჟაა...

(სულიკო მალხაზის საფლავთან მიდის... ყვავილებს ქოთანში ჩადებს, ჯიბიდან ხელსახოცს ამოიღებს და მეუღლის ბიუსტს მტვერს გადაწმენდს).

მალხაზი, თენგულა და ბისმარკი

(მღერიან) ...აამმიიეე...

(სულიკო სკამზე ჩამოჯდება, ხელჩანთიდან ღვინოს, პურს და ყველს ამოალაგებს, გაზეთს გაშლის და ქვაზე ჩამოდებს).

მალხაზი, თენგულა და ბისმარკი

(მღერიან) ...ეერრ...

მალხაზი

თქვენ გენაცვალეთ, ძმებო! *(სამივეს გადაკოცნის).* იხარეთ და იბედნიერეთ, თქვენი ჭირიმე მე!

ბისმარკი

მალხაზი, ბიჭო, მოვიდნენ შენთან მგონი.

(მალხაზი სწრაფად წამოდგება და საკუთარი საფლავისაკენ მიდის. სულიკო, მისი მეუღლე, რა თქმა უნდა, მას ვერ ხედავს. მალხაზი ბიუსტის გვერდით, საფლავის ქვაზე ჩამოჯდება, მეუღლეს უყურებს. სულიკო ცრემლებს მოიწმენდს).

მალხაზი

(მეგობრებს მიაძახებს) ტირის ბიჭო, ხედავ? კიდევ ტირის...

თენგულა

რამდენი ხანი გავიდა, ნეტა?

მალხაზი

ჩემი გარდაცვალებიდან? ორი წელი და თვეებია უკვე.

თენგულა

კიდევ ტირისო ამბობ?

ბისმარკი

ვერ ხედავ?

მალხაზი

მოუტანია, ღვინო, ყველ-პური, მწვანილი... რა ქნას მეტი?

ბისმარკი

აბა, ჩემთან კი არ მოვა ვინმე!

თენგულა

არა უშავს, ჩემო ბისმარკ, არა უშავს, ყველანი მივალთ იქ, სადაც მივალთ.

მალხაზი

(სასმელ-საჭმელს საფლავის ქვიდან სუფრაზე გადაიტანს). აბა, გადაიღეთ, მოვალ მალე. *(მეუღლეს უბრუნდება, ქვაზე ჩამოჯდება).*

(მომდევნო სცენა პარალელურად უნდა განვითარდეს. მოდი, ასე ვთქვათ: ერთ მხარეს მალხაზ ქუმსალია და მისი მეუღლეა, იქით კი – თენგულა ასათიანი და ბისმარკ კაპანაძე. ორი დამოუკიდებელი დიალოგი ერთ მთლიან სცენას უნდა წარმოადგენდეს. რეჟისორმა დიალოგის დინამიკა ისე უნდა გადაანაწილოს, რომ მაყურებლისაგან მაქსიმალური ყურადღება დაიმსახუროს).

ბისმარკი

(ღვინოს ჭიქებში ჩამოასხამს). ამ ბოლო ხანს, ჩემო თენგიზ, ასეთ რამეებზე ვფიქრობ, რომე გაგიჟდება კაცი...

თენგულა

მაინც, რა გაქვს საფიქრალი სამოთხეში?

ბისმარკი

მესამე პირში მინდა ვილაპარაკო.

თენგულა

რას ნიშნავს ეგ, თუ კაცი ხარ?

მალხაზი

(მაყურებელს) რა იყო მაინც ჩვენი შეხვედრა? არა, უნდა გენახათ, სიყვარული როგორ ავუხსენი ამ პატარა ანგელოზს. მე შენ მიყვარხარ-მეთქი, ვეუბნებოდი; მე შენში მიყვარს საკუთარი თავი-მეთქი, ვამბობდი. ქალებს ყველაფრის სჯერათ... მაშინ, სიტყვა მიყვარხარ სამ ძირითად ნაწილად დავყავი. მიყ – პირველი ნაწილი ყველაზე უმნიშვნელო მეჩვენებოდა. ვარ – სიტყვის მეორე ნაწილი იყო და რასაც ნიშნავდა იცოდა, იმედია. ხარ – მესამე და დასკვნითი აზრი. რა გამოდიოდა? ვარ – ხარ. ანუ მე

ის ვარ, რაც შენ. მე ის ვიყავი, რაც შენ არასდროს ყოფილხარ... თუ აღარ მახსოვს... მოკლედ, იყო დრო, მე და ჩემი სულიკო ერთმანეთს წერილებს რომ ვუგზავნიდით, გულის სიღრმეში კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდით და ვნატრობდით იმ დროს, როდესაც ყველა კითხვას პასუხი გაეცემოდა. ეს სულ მალე მოხდა. სიმართლე რომ გითხრა, სულიკოს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია. ალბათ, ისევე როგორც მე. და ილუზია, რომ ყველა კითხვაზე პასუხი სავალდებულოა – მცდარია! მთავარია, არსებობდეს კითხვები, იმიტომ, რომ პასუხი არ არის საინტერესო! მთავარია, გაგიჩნდეს კითხვა, რადგან საიდუმლოს აზრი მაშინ ეკარგება, როდესაც იცი. ასე არ არის?

ბისმარკი

(თენგულას) იმიტომ ვლაპარაკობ, რომ საკუთარ თავთან გაუცხოებული ვარ. გავურბივარ ჩემს თავს, რადგან ამ ბოლო დროს ვამჩნევ, რომ ჩემში ორი არსება სახლობს. ერთი, რომელიც მეუბნება, რომ სიკვდილი კარგია და მეორე, რომელიც იგავებს მიყვება ჩემს წარსულზე. ერთს უყვარს სიკვდილი და მეორეს ეზიზღება.

(თენგულა ღვინოს ჭიქებში ჩამოასხამს).

ბისმარკი

საერთოდ, ამ ბოლო დროს ვამჩნევ, რომ მესამე პირში ხშირად ვლაპარაკობ. ეს, რაღაცით, სიკვდილს მიადვილებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ხარ“ რაღაც განზოგადებულია ყოველგვარი მოვლენის მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მთავარი თემა „შენ“ ხარ და „შენი“ წარსული. საუბრობ საკუთარ თავზე მესამე პირში.

სულიკო

(მალხაზის ბიუსტს) მალხაზ, ჩემო მალხაზ, მინდა მოგეფერო და ძალიან მომენატრე...

მალხაზი

(სულიკოს) ჰო, ჩემო სულიკო, ჰო, მესმის შენი, მაგრამ ვერაფრით გაგებინებ, მეც მომენატრე...

სულიკო

(მალხაზის ბიუსტს არ აცლის წინადადების დამთავრებას). მინდა გითხრა, მინდა... რაღაც, მაგრამ მიჭირს. არადა, არ შემიძლია, დაგიმალო.

თენგულა

(ბისმარკს) დავლიოთ ერთი, თუ კაცი ხარ, მაგ ფიქრებს მოეშვი, ჩემი რჩევა თუ გინდა. *(ღვინოს სვამს).*

ბისმარკი

(თენგულას) არა, რაზე ვბრაზდები იცი, სანამ ცოცხალი ვიყავი...

თენგულა

(ბისმარკს აწყვეტინებს). დალიე, თუ კაცი ხარ, და მერე მითხრი!

(ბისმარკი სვამს).

მალხაზი

(სულიკოს) მითხარი, მეც მომენატრე, რომ იცოდე... *(მეგობრებს ხმამაღლა დაუძახებს)* ცოტა ჩუმად მანდ, რა გჭირთ, მომასმენინეთ, თქმა უნდა რაღაცის!

სულიკო

(მალხაზის ბიუსტს არ აცლის წინადადების დამთავრებას). იცი, რაც შენ დამტოვე, თავს მარტო ვგრძნობ. სულ მარტო... ჩვენ ხომ ვერ მოვასწარით ვერც ბავშვის გაჩენა, ვერც ოჯახის წესიერად მოწყობა, დიასახლისობაც არ დამცალდა. ჯერ გაბრაზებული ვიყავი შენზე. ასე უაზროდ რომ მიმატოვე, ჯერ შენი დანახვა არ მინდოდა. თუმცა, როგორ გნახავდი, მაგრამ მაინც... მერე ვიფიქრე, უფრო სწორად მივხვდი, რომ შენი ბრალი არ იყო, რომ ასე უცაბედად წახვედი ამ ცხოვრებიდან. ძალიან მიჭირდა და მარტო ვგრძნობდი თავს, სანამ... მაგრამ, ახლა რაღაც შეიცვალა, არა, ისევ მიყვარხარ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში...

თენგულა და ბისმარკი

(იმერულ სიმღერას წამოიწყებენ). ჭყინტი ყველის ჭამა მიყვაარს...

მალხაზი

(სულიკოს) რა შენს ცხოვრებაში?

სულიკო

(პაუზის შემდეგ, თითქოს მალხაზის სიტყვები მოისმინაო) არ შემიძლია რომ არ გითხრა, რაღაც შეიცვალა, არა, მე მუდამ მეყვარები, შენ მაგაზე არც იფიქრო, მოვალ, ყვავილებს გამოვცვლი, საჭმელს მოგიტან...

თენგულა და ბისმარკი

(ხმას უმატებენ). პირის დატკბარუნებაოო, ტარა რირა რა რა რიიი რაა...

სულიკო

(მალხაზის ბიუსტს) ყველაფერს ისევ ისე ვიზამ, როგორც აქამდე, მაგრამ მთავარია, რომ შენ გამიგო და არ გამიბრაზდე...

მალხაზი

(სულიკოს) რაო?! რა უნდა გაგიგო?

ბისმარკი

(წყვეტს სიმღერას. მალხაზს) რა გაყვირებს, იტირებს პატარა ხანს და წავა.

თენგულა

(მალხაზს) ქალები ყოველთვის უდროოდ მოდიან ან მიდიან. უდროოდ იბადებიან და მით უმეტეს, კვდებიან. ქალებს საერთოდ ახასიათებთ უდროობა.

ბისმარკი

(იცინის. თენგულას) როგორ იცი თქმა, შენ რა გითხარი?..

მალხაზი

(სულიკოს) ამოიღე ხმა, რა უნდა თქვა! რა ხდება, არ მომწონს შენი საქციელი. რა ხდება, თქვი, თორემ მოვკვდი და ეს არის.

ბისმარკი

(თენგულას) ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ჩემო თენგიზ, რომ როგორც წესი, პრეტენზიებს ბოლო არ უჩანს. არ მთავრდება ხოლმე და წარმოიდგინე, რომ ისმენ უაზრო გამონათქვამთა კრებულს ადამიანზე, რომელსაც წესიერად არც იცნობ, იმიტომ, რომ არ იცნობ, ვინ ხარ შენ. უფრო სწორად, არ იცი, ვინ ხარ შენ. აზრი გასაგებად გამოვთქვი?

(რეკავს სულიკოს მობილური ტელეფონი).

სულიკო

(ხელჩანთიდან მობილურს ამოიღებს, უპასუხებს. მალხაზის ბიუსტთან ზურგით მოტრიალდება. ისე, რომ გარდაცვლილი მალხაზის პირისპირ აღმოჩნდება. ტელეფონში) ჰო გია, ჰო... აქ ვარ... სად უნდა ვიყო? სასაფლაოზე... ახლა არ შემიძლია... *(იცინის).* კარგი რა?.. ვერ გეტყვი, ვერა... იმიტო, რო მიყურებს... ნუ კარგი, რა მოუთმენელი ხარ... მეც მენატრები. მოვალ მალე... შენ? შენ მე სადილი უნდა დამახვედრო? გაგიჟდი? პირველად მესმის... არასდროს გითქვამს, რომ საჭმლის გაკეთება იცი, გამეცინა... ვიცი, ვიცი, ჩემო სიცოცხლე, ერთი დიდი სიურპრიზი ხარ... მეც მომენატრე... კარგი, კარგი, ჩემო პატარა, ჰო, შენი პატარა ვარ... მიყვარხარ. საკმარისია? კარგი ახლა... *(იცინის).* კარგი, კარგი, მოვდივარ. მეც გკოცნი... მეც მიყვარხარ... *(საუბარს მორჩება. ტელეფონის ყურმილს ჩანთაში დებს).*

(მალხაზი და მისი მეგობრები სულიკოს ხასიათის ასეთ უცაბედ ცვლილებას არ მოელოდნენ. რამდენიმე წამი სიჩუმეა. პაუზის შემდეგ, მალხაზი და სულიკო ერთდროულად იწყებენ: მალხაზი – ყვირილს, სულიკო საუბარს).

მალხაზი

(სულიკოს) მკვლელო! გგონია, ვერ გავიგონე? ვინ არის გია! მითხარი ახლავე, ვინ არის გია, თორე არ ვიცი, რას ვიზამ! თვალთმაქცო, ფლიდო, მატყუარა, ფარისეველო! დავიღუპე კაცი! მომეკალი და ეგ იყო... შენ არ იცი, რას ნიშნავს, გიყვარდეს და იყო აქ, ამ დამპალ სასაფლაოზე. შენ არ იცი, მე რას ვგრძნობ, რას განვიცდი, როგორია, ჩაგდონ მიწაში და დაგასაფლავონ. შენ არ იცი, რას ნიშნავს, ცხოვრობდე საკუთარ სასაფლაოზე, შენ ჩემზე არ გიფიქრია და ნუ მატყუებ, როდესაც მეუბნები, რომ გიყვარვარ, იმიტომ, რომ შენ ქვის გული გქონია! ისეთივე ქვის გული, როგორც აი, *(საკუთარ ბიუსტზე მიუთითებს)* ამ ქვის მალხაზ ქუმსალიას აქვს! როგორ წარმოვიდგენდი, რას ვიფიქრებდი, რომ ასე უმოწყალოდ გამწირავდი? დამტოვებდი? მიღალატებდი?! ამას როგორ წარმოვიდგენდი... ვისთან მტოვებ, ვისთან?! *(მეგობრებზე მიუთითებს)* ამათთან?! ამ ლოთებთან?! მაგრამ მე მკვდარი ვარ და ნუ გგონია, რომ არაფერი მესმის, ნუ გგონია, რომ ვერაფერს ვგრძნობ, ნუ გგონია, რომ შენსავით ცოცხალი ვარ. მე მკვდარი მალხაზ ქუმსალია ვარ და ახლა დავრწმუნდი, რომ შენზე ცოცხალი, ათი თავით, ასი თავით, ათასი თავით ცოცხალი ვარ. *(პაუზის შემდეგ)* რა ვქნა ახლა მე?..

სულიკო

(მალხაზის ბიუსტს, გარდაცვლილ მალხაზს ვერ ხედავს) აი, ახლა მგონი ყველაფერს მიხვდი. რა ვიცი, არ მინდოდა, უფრო სწორად, მინდოდა, რომ ყველაფერი გცოდნოდა. ჩვენ ამ სამი თვის წინ გავიცანით ერთმანეთი. წმინდა კვირიკეს ხსენების დღეს. ჰო, ამ სამი თვის წინ... სასაფლაოდან რომ გავედი, ავტობუსის გაჩერებაზე იდგა. ერთმანეთს გავესაუბრეთ, ის მშობლების საფლავზე იყო მოსული, ავტობუსმა დაიგვიანა და ბოლოს ტაქსით წამოვედით შინ. დამპატიჟა. მომდევნო კვირას კიდევ შევხვდით, ისევ გაჩერებაზე. ასე ვხვდებოდით სასაფლაოს გაჩერებაზე, სანამ არ მითხრა, იქნებ შეხვედრის ადგილი შევცვალოთო. მე ჯერ უარზე ვიყავი, მაგრამ ისე მთხოვა, რომ დავთანხმდი. მალე დავმეგობრდით. კარგი ბიჭი აღმოჩნდა, ყურადღებიანი, გულახდილი, კეთილი. რაც მთავარია, მე ვუყვარვარ. ძალიან ვუყვარვარ. მგონი, მეც მიყვარს. მგონი კი არა, მიყვარს. არა, შენ ჩემს გულში მუდამ იქნები, ამას როგორ დავივიწყებ. ხო არ მიბრაზდები? რაღაც გულზე მომეშვა... რამდენი ხანია ამის თქმას ვაპირებდი, ღმერთო ჩემო... რა კარგი ბიჭი ხარ, რომ არ მიბრაზდები. ასეც ვიცოდი, რომ არ მიყვირებდი. ძალიან კარგი ხარ. უჰ...

ბისმარკი

(მალხაზს) მკვდარი ხარ უკვე, მალხაზ და გაიგე ეს. თავის ცხოვრება აქვს ახლა მაგ ქალს.

თენგულა

(ბისმარკს) კაი, გაჩუმდი, თავისი ეყოფა.

ბისმარკი

(თენგულას) აბა, რა ეგონა, ასე ივლიდა მთელი ცხოვრება პური-ყველით?

თენგულა

(ბისმარკს) ივლიდა თუ არ ივლიდა, რაღა აქ უნდა გაიგო ეს ამბავი?

ბისმარკი

(მალხაზს) შენ თუ საჭმელზე ნერვიულობ, მოკვდება ვინმე, დაგვიმეგობრდება და სანამ მისი ცოლიც არ გაიჩენს საყვარელს, გვაჭმევს ისიც. *(ბოროტად ხითხითებს)* იჰი, ჰი...

მალხაზი

(ბისმარკს გამწარებული მივარდება). არავის რომ ახსოვხარ, გინდა ყველა ასე იყოს, ხომ? შენ ხო მაინც დაგახრჩობ, იმას თუ ვერაფერს უზამ! *(ყელში სწვდება, სკამიდან გადაგორდებიან).* შენზე მაინც ვიყრი ჯავრს, შე უნამუსო, აქ მაინც ხო ვერსად გამექცევი!

თენგულა

(აშველებს). გაჩერდი მალხაზ, რა დროს ეგაა, ბიჭო, ნუ მოკლავ მაგ კაცს.

მალხაზი

მოვკლავ კი არა, დავახრჩობ, ამ არაკაცს! ვინც მე მომკლა, ვინც შენ მოგკლა, ვინც ოჯახი დამინგრია და იმ მობილურის პატრონსაც მივაკლავ ზედ!

ბისმარკი

ვერ მომკლავ, მალხაზ, ვერაა.

მალხაზი

(ბისმარკის დახრჩობას გადაიფიქრებს. ეშვება. ჩამოჯდება. პაუზის შემდეგ) რატომ ვერ მოგკლავ, ვითომ ვერ მოგერევი, თუ?

ბისმარკი

(გაჭირვებით დგება). მკვდრები ვართ უკვე, მალხაზ ქუმსალია და ახლა ისეთი დროა, რომ ერთმანეთს თუ არ გავუფრთხილდით, არ გამოვა.

თენგულა

(ბისმარკს) გაფრთხილებაზე თუა ლაპარაკი, შენც გეხება ეგ.

სულიკო

(ამასობაში საფლავის ქვიდან მტვერს წმენდს. მეგობრების ჩხუბს ვერ ამჩნევს და ეს ბუნებრივიცაა. კვლავ მალხაზის ბიუსტს მიმართავს) კარგი, მალხაზ. თუ არაფერს მეტყვი, წავალ. მაგრამ იცოდე, იცოდე, რომ ცუდი ადამიანი არ არის. მერე მოვიყვან და გაგაცნობ. მინდა ერთმანეთს იცნობდეთ... რა მოხდა მერე? შენ შესახებ ყველაფერი ვუამბე. როგორ გავიცანით ერთმანეთი, ისიც მოვუყევი, სიყვარული რომ ამიხსენი. რა სასაცილო იყო. თავი გენიოსი გეგონა და რა სისულელეს არ იგონებდი. როგორ იპრანჭებოდი. რა სასაცილო იყავი. სასაცილო და საყვარელი. მე კიდევ ვფიქრობდი, ნეტა როდის გაჩუმდება და მაკოცებს-მეთქი. მოვუყევი. ბევრი ვიცინეთ. არა, შენზე კი

არ გვიცინია, სასაცილოდ გამახსენდა ეს ყველაფერი... რაც შენ აღარ ხარ, პირველად გავერთე ასე. არ არის ცუდი ბიჭი, აი, ნახავ.

(სულიკოს სიტყვების შემდეგ, მეგობრებში უხერხული სიჩუმეა. თენგულა და ბისმარკი მაგიდას მიუსხდებიან. თენგულა ღვინოს ჩამოასხამს. ბისმარკი ჭიქას იღებს).

ბისმარკი

ჰე, მოდი ახლა, თორე ამოშრება ეს ღვინო და მომტანიც აღარ ჩანს, ვგონებ. იჰი, ჰი...

მალხაზი

(მიწაზე ზის. სასოწარკვეთილია. მშვიდად) მოიყვანე, მოიყვანე რო აქვე დავაკლა ჩემს საფლავზე... შენც ზედ მიგაყოლებ, გამყიდველო.

სულიკო

(მალხაზის გიუსტს) ძალიან შეეცოდე, მითხრა, მე რომ ვყოფილიყავი მის ადგილას, ალბათ გავგიჟდებოდიო. სასაცილოა, არა? იუმორის გრძნობა აქვს. უშენობას მიადვილებს. ძალიან ყურადღებიანია. აი, ახლაც დამირეკა, სად ხარო, რამე ხომ არ გინდაო, ხო არ გამოგიაროო. გაგაცნობ, აუცილებლად გაგაცნობ. იცი, გუშინ პირველად ვაკოცეთ ერთმანეთს. მოვიყვან, აუცილებლად მოვიყვან. აქამდე მეგონა, რომ უნდა დამემალა, მაგრამ ვერ შევძელი...

ბისმარკი

(თენგულას) აუ, იმდენს იზამს, მოკლავს ამ კაცს ახლა!

სულიკო

მართალი გითხრა, არ მეგონა, ამას თუ შევძლებდი. როდესაც მკლავზე შემეხო და თავისკენ მიმიზიდა, ისე ავკანკალდი, ავნერვიულდი, რომ იღლიები გამიოფლიანდა. შენ გამახსენდი. გახსოვს, პირველად რომ მაკოცე? ზუსტად ასეთივე გრძნობა მქონდა. როდესაც მკოცნიდა, შენ მედექი თვალწინ. ვერ დავუმალე და უთხარი. არ წყენია. ამაზე მითხრა, ასე თუ გააგრძელე, მეც გამისტუმრებო. ჰა-ჰა, სასაცილოა არა? და მერე კიდევ მაკოცა.

მალხაზი

სად არის? სად არის მიქელი? უნდა ვნახო! ტელეფონი მათხოვე. *(ბისმარკს მივარდება. ცდილობს ტელეფონი გამოართვას).* მათხოვე ტელეფონი, უნდა დაურეკო!

ბისმარკი

(ბისმარკი არ ნებდება). არ გაგიჟდე! არ მოგცემ იცოდე!

მალხაზი

(ბისმარკს თავს ანებებს). მე თვითონ, მე თვითონ ვნახავ! (გარბის).

მეორე სურათი

(მალხაზ ქუმსალიას და სულიკოს საძინებელი ოთახი. მალხაზი, რა თქმა უნდა, იქ არ არის. იგი უკვე ორი წელია სასაფლაოზე განისვენებს. სამაგიეროდ, იქ არის გია სალაძე. სულიკო და გია სალაძე ლოგინში წვანან. ორივენი, შეძლებისდაგვარად, შიშვლები არიან. გია სალაძე სიგარეტს ეწევა).

გია

არ იყო ცუდი...

სულიკო

გაგიჟდი? რამდენი ხანია ეს არ მქონია.

გია

პრაქტიკულად, ბედნიერი ვარ. შეიძლება ასეც ითქვას...

სულიკო

ჩემი ქმრის სიკვდილის შემდეგ...

გია

არ იყო ცუდი...

სულიკო

იცი რა? მოდი, ჩვენი ქორწილი იანვარში გადავიხადოთ.

გია

იანვარში მარხვაა. მერე ახალი წლები, დიზელი, ისა, ესა... ხო იცი, გაზაფხული სჯობს. ასე არ მოვილაპარაკეთ?

სულიკო

გაზაფხულამდე რა მოითმენს.

გია

იცი, ტელევიზორში ვნახე, იაპონელებმა რაღაც ახალი აპარატი გამოიგონეს, პატარაა, წიგნის ხელა, ძაღლს ცხვირზე მიადებ და იწერება, რას ფიქრობს ძაღლი...

სულიკო

მე უნდა მომადო ცხვირზე?

გია

უფრო სწორად, აპარატს შეუძლია გაარჩიოს, რას გრძნობს ძაღლი, კონკრეტულ დროს.

სულიკო

და რამდენი გრძნობა აქვს ძაღლს?

გია

აღმოჩნდა, რომ ექვსი.

სულიკო

(თითებზე ითვლის). როდის უხარია, როდის სწყინს...

გია

როდის შია, როდის ცივა, როდის ცხელა...

სულიკო

მთავარი დაგავიწყდა, უყვარხარ თუ არა! რამდენი გამოვიდა?

გია

ალბათ, ამ აპარატის მომდევნო თაობა შინაარსობრივად სხვა საფეხურზე აიწევს და პატრონს მეტ ინფორმაციას მიაწვდის, მაგალითად...

სულიკო

(აწყვეტინებს) სულ გაგაგიჟებს ეს კომპიუტერები.

გია

მაგალითად, როდის უნდა ენდო, შეიძლება თუ არა აზრი გაუზიარო, ან საიდუმლო გაანდო...

სულიკო

და იქნება თევზივით მუნჯი, არავის არაფერს ეტყვის.

გია

(დგება, ხალათს მოისხამს). ბოლოს და ბოლოს, ესმის თუ არა მას ჩვენი, ადამიანების. ან თუნდაც, თუნდაც, რა გითხრა? რა ვიცი აბა, ათასი რამეა ისეთი, რასაც ძაღლი ვერ ამბობს და ალბათ, ისე უნდა, რომ გაგებული იყოს.

სულიკო

მოდი რა, ვიყიდოთ?

გია

საინტერესოა, ოდესმე თუ გამოიგონებენ ისეთ აპარატს, რომელიც ადამიანებს შორის დაამყარებს ასეთ ურთიერთობას. ალბათ, აპარატის ავტორებს თავში არ მოსდით, რომ ძაღლსა და პატრონს გაცილებით კარგად ესმით ერთმანეთის, ვიდრე ჩვენ – ადამიანებს...

სულიკო

ვის გულისხმობ?

გია

არა, უბრალოდ, ადამიანი და ძაღლი გაცილებით უკეთ უგებენ ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ, ადამიანები. კარგი იქნება, ისეთი აპარატის გამოგონება, ცხვირზე რომ მიადო და რეალურად გაიგო, რას ფიქრობენ შენზე. ერთს ამბობენ, მეორეს კი ფიქრობენ. თითქოს ჩვენ ერთმანეთის გვესმის...

სულიკო

(აწყვეტინებს) აი, შენ ცხვირზე მიმაკრობინა ეგ აპარატი!

გია

არ არის ცუდი... და დაგიწეროს რა გინდა, რას აკეთებ, ან რას ფიქრობ და საერთოდ, რა არის შენი კრედო. დაგრჩა თუ არა პრინციპები, ფიქრობ თუ არა მომავალზე და იქნებ, ერთ-ორ ისეთ კითხვაზეც გაგცეს პასუხი, რასაც მთელი ცხოვრებაა ეძებ.

სულიკო

მოდი რა ჩემთან, მე გაგცემ ყველა კითხვაზე პასუხს.

(გია სიხარულით სულიკოს მკლავებში იძირება. სულიკო უღიტინებს).

გია

(იცინის). არ გინდა, ხო იცი, რო მეცინება, არ გინდა!.. *(თავის დაძვრენას ცდილობს).*

სულიკო

აბა, რა გინდა, რომ მკითხო? რა გინდა, გაიგო? მე არაფერს გიმალავ. ახლა გაჩვენებ მე შენ, რა მომავალზე მელაპარაკები! მე შენ გაჩვენებ, ცხვირზე აპარატის მოდებას, მე შენ გაჩვენებ, სად არის შენი კრედო, გამომივიდა აქ ფილოსოფოსი, გაჩვენებ, დაგრჩა თუ არა პრინციპები...

(არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ მალხაზ ქუმსალია კარის მტვრევით და ხელში საბრძოლო ტანკსაწინააღმდეგო „ბაზუკით“ შემოვარდებოდა. მაგრამ, ფაქტს ვერსად გავექცევით. მალხაზი შუაგულ ოთახში დგება და საკუთარ ლოგინში ნახევრად შიშველი ცოლის ზურგს ამოფარებულ გია სალაძის დანახვისას შეურაცხყოფილი, დამცირებული და გულწასული ეცემა. სცენაზე რამდენიმე წამი სიჩუმეა. დუმილს გია სალაძე არღვევს).

გია

(ენა ებმის) მმოკკვდდა?

სულიკო

მგონი, უკვე დიდი ხნის მკვდარი უნდა იყოს...

გია

ვინვინ-ვინ �iyo?!

სულიკო

(პაუზის შემდეგ, რომელიც საუკუნეს უდრიდა) ჩემი ქმარი.

გია

(ახლა უკვე სხვა შიში და თრთოლა იფეთქებს მასში) რრაა? *(ლოგინიდან ხტება, მოგეხსენებათ, ჩაცმას ვერ მოასწრებდა).* შენ-შეშენ-შენ რა, შენ რარარა-რა წინასწარრმეტყველლი ხხარ?

სულიკო

შენ უბრალოდ ვერ გამიგე...

გია

რრა გგაგებბა უნდა ამას, ეეს კაცცი შენნი ქქმარია თუ არრა?

სულიკო

იყო... თუ არის... არ ვიცი...

გია

ნუ შემშალე! კარგად დაფიქრდი, სანამ პასუხს მეტყვი და მითხარი, ეს კაცი შენი ქმარია?

სულიკო

(შეშინებული, გულწასულ მალხაზ ქუმსალიას დახედავს). მგონი...

გია

მგონი?!?

სულიკო

(ცრემლნარევი, გაბზარული ხმით) ნუ მიყვირი, თორემ ვიტირებ.

გია

ქმარს ვეღარ ცნობ?!? გამაგებინე, ქმარს ვეღარ ცნობ?

სულიკო

(კიდევ ერთხელ, გულწასულ მალხაზ ქუმსალიას შეშინებული დახედავს). მგონი...

გია

მგონი?! მგონი?!

სულიკო

კი, ჩემი ქმარია, ჩემი ქმარია! ოღონდ, ნუ ყვირი.

გია

კარგი, შევეცდები მეც დავწყნარდე. კარგი, მაშინ გამაგებინე, რომ მითხარი, ქმარი ორი წლის წინ მომიკვდაო, რომელ ქმარზე მეუბნებოდი?

სულიკო

(პაუზის შემდეგ) ამაზე...

გია

და შენ ფიქრობ, რომ გარდაცვლილი ქმრები ასე დაუკითხავად, ტანკსაწინააღმდეგო საბრძოლო „ბაზუკით“ ყოფილ ცოლებს შინ უვარდებიან?

სულიკო

და ხომ შემოვარდა?!

გია

(საკუთარ თავს) კარგი, დამშვიდდი, გია, ახლა სრული მობილიზაცია, ასპროცენტიანი კონცენტრირება. *(სულიკოს)* ეს, ეს ფა... ფა... ეს ფაქტი, პირველი შემთხვევა არ არის?

სულიკო

„ბაზუკას“ გულისხმობ?!

გია

ყველაფერთან ერთად, დამცინი?!

სულიკო

პირველია, პირველი შემთხვევაა! რა ვერ გაიგე, მეც არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს კაცი აქ!

გია

(ტირილს იწყებს). ნუ მიყვირი, თორემ ახლა მე დავიწყებ ტირილს.

სულიკო

მე რა ვქნა, მითხარი და გავაკეთებ.

გია

(ტირილით) არ მიყვირო, მეტი აღარ მიყვირო... მეშინია, მკვდარი ქმრების მეშინია... *(ტირილს წყვეტს).* კი მაგრამ, თუ ორი წლის წინ მოკვდა და გაცოცხლდა, მაინცდამაინც აქ მოუნდა სიკვდილი?

სულიკო

ისეთ შეკითხვებს ნუ მისვამ, რაზეც პასუხი არ მაქვს. უფრო მარტივი რამე მკითხე.

გია

კარგი, მაშინ მითხარი, ნამდვილად მოკვდა თუ არა?

სულიკო

როდის, მაშინ თუ ახლა?

(გია ტირილს ხელახლა იწყებს).

სულიკო

ალბათ, მაშინაც მოკვდა და ახლაც. მაგრამ, მკვდრები მართლა ხომ არ დადიან ქვრივების სახლში? თან „ბაზუკებით“ შეიარაღებულები?

გია

იქნებ ამიხსნა, რა უნდა შენს მკვდარ ქმარს საძინებელ ოთახში?

მალხაზი

(გამოფხიზლდება. ტანკსაწინააღმდეგო „ბაზუკას“ დასწვდება, მხარზე შემოიდებს და უმიზნებს). ახლა გაჩვენებთ მალხაზ ქუმსალია, ვინ არის ჩვენ შორის მკვდარი!

სულიკო

მალხაზ, შენ ამას არ იზამ, შენ ამას, უბრალოდ ვერ იზამ!

მალხაზი

მალხაზ ქუმსალიამ თუ ჩაიფიქრა, ყველაფერს იზამს! ხო ხედავ, ხო ხედავ, დავბრუნდი და ისე არ წავალ, თქვენი ჯავრი არ ვიყარო! ილოცეთ, ილოცეთ, გამოგადგებათ ცოდვილნო! ქმრის მკვლელო სულიკო!

სულიკო

მალხაზ, შენ ახლა მკვდარი ხარ!

მალხაზი

მე მასწავლეთ ახლა, მკვდარი ვარ თუ არა!

სულიკო

ჩემი ხელით დაგმარხე, შე უბედურო!

მალხაზი

შენი ხელებია, ამას რო ეფერება!

სულიკო

ჩემი ხელით დაგაყარე მიწა, მალხაზ! დაუშვი ეგ ყუმბარა და დაფიქრდი, სანამ ისვრი, ცოდვას ნუ ჩაიდენ.

მალხაზი

მკვდრები ხართ და მკვდრების დამმარხველნი! ილოცეთ, მე თქვენ გეუბნებით!

გია

მე არ ვიცოდი, რომ ცოცხალი იყავით, სულიკომ მითხრა, რომ ქმარი ორი წლის წინ გარდამეცვალაო...

მალხაზი

ეს შენ ხარ ხომ, ჩემს საფლავთანაც რომ არ ეშვები და ურეკავ? შენ ხარ ხომ?!

გია

არ ვიცოდი, რომ ცოცხალი იყავით, ჩვენ... თავში ცუდი აზრი არაფერი გამივლია.

მალხაზი

ჩემი ფლოსტები... ჩემი ხალათი!.. ახლავე გადმოდი ჩემი ლოგინიდან!

გია

(ბრძანებას ემორჩილება). ჩვენ შეუღლებას ვაპირებდით.

მალხაზი

ამ ქალს ქმარი ჰყავს, ჯერჯერობით!!!

სულიკო

(მალხაზს) მატყუარა!

მალხაზი

(გიას) ეს ქალი ჩემი ჭირისუფალია და სანამ მე მკვდარი ვარ...

სულიკო

(აწყვეტინებს) ამ ქალს ქმარი მოუკვდა და თურმე, ცოცხალი ყოფილა და იმალებოდა! შეიძლება, სხვა ქალთან ცხოვრობდა, ახლა კი იქიდან გამოაგდეს და სხვა გზა რომ აღარ დარჩა, დაბრუნდა!

მალხაზი

რაო, რა თქვი? მე მკვდარი ვარ! რას მიედ-მოედები?

სულიკო

თუ მოკვდი, აქ როგორ ხარ?

მალხაზი

გამოვიპარე!

სულიკო

მოღალატე!

მალხაზი

ჩემს სახლში, საკუთარ ლოგინში საყვარელ ცოლს უცხო მამაკაცთან ვხედავ და მე ვარ მოღალატე?!

სულიკო

შენ ორი წელი სხვა ქალთან გეძინა, მე კი დღეს, პირველად ვიწექი!

მალხაზი

მე ორი წელი საფლავში ვიწექი!

სულიკო

ხედავ, ხედავ, თავად აღარ იცი, რას ბოდავ. სხვასთან ცხოვრობდი, მე კი თავი ქვრივი მეგონა! მე შენ გიგლოვე, შენ საფლავზე დავდიოდი, რაც გიყვარდა მომქონდა, შენთვის ვლოცულობდი, მარხვას ვინახავდი, ვიტანჯებოდი, მენატრებოდი, შენ კი, შენ კი თურმე, სხვასთან ცხოვრობდი და მე ვარ ცოდვილი? მე უნდა ვილოცო? თავი მე უნდა ვიმართლო?! სიკვდილს მე უნდა ველოდო?! სულ მეგონა, რომ ძალიან ცუდად ვარ, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ნამდვილად ცუდად მხოლოდ ახლა ვარ. ასე ცუდად ჯერ არასდროს ვყოფილვარ და ახლა ის დროა, ცუდად ყოფნის საუკეთესო ხუთეული ჩამოვთვალო. *(მალხაზს უახლოვდება).* ყველა ჩემი ცუდად ყოფნა შენ გიკავშირდება და ისე მძულხარ, რომ ერთი სული მაქვს მესროლო, იმიტომ, რომ თუ არ მესვრი, მე მოგკლავ, ახლა უკვე ნამდვილად მოგკლავ და კარგად დავაკვირდები, კუბოში შენ წევხარ თუ შენი ორეული!

მალხაზი

(ყუმბარმტყორცნს ძირს დებს, შემრიგებლური ტონით) სულიკო, ეგ როგორ იფიქრე, ეგ რამ გათქმევინა? მე არ ვყოფილვარ მკვდარი? ჩემ ნაცვლად სხვა როგორ დაიტირე? ყველა შენი ცრემლი, რომელიც ჩემს გულზე ეცემოდა...

სულიკო

აბა, რა ჯანდაბას აკეთებ აქ?!

მალხაზი

უნდა მოგკლათ ორივე.

სულიკო

(გიას) უთხარი, უთხარი, რომ მაშინ მოგვკლას, გვესროლოს, თორემ მე დავასწრებ!

მალხაზი

(გიას) მოგკლავთ, მაგრამ ჯერ მითხრას, მითხრას, რომ მკვდარი ვიყავი!

გია

(მალხაზს და სულიკოს) ფისი მინდა...

სულიკო

მატყუარა!.. *(ტირილს იწყებს).*

მალხაზი

ნუ ტირი, ნუ ტირი. მე გავბრაზდი, გავბრაზდი, რომ ამას ელაპარაკე და უთხარი, რომ გიყვარს, იქ, იმ დღეს, სასაფლაოზე რომ მოხვედი, საჭმელი რომ მომიტანე...

სულიკო

მითვალთვალებდი?!

მალხაზი

ჩემდა უნებურად, მე ხომ იქ ვცხოვრობ.

სულიკო

სად ცხოვრობ, მალხაზ, სად? სასაფლაოზე? ნუ მატყუებ, ასე უტიფრად. სასაფლაოზე კი არა, სხვა ქალთან ცხოვრობ!

მალხაზი

სულიკო, ჩემო სულიკო, მე სასაფლაოზე ვცხოვრობ, როგორც ყველა მკვდარი, თენგულასა და ბისმარკთან ერთად. მათი საფლავები ჩემი საფლავის გვერდითაა, ხომ გახსოვს, არ დაკვირვებიხარ? მაშინ, რომ წვიმდა და ფეხი დაგიცურდა, იმ საფლავზე დაეცი, ბისმარკის საფლავზე. კაი ბიჭია. თენგულა უფროსია ჩვენზე, მაგრამ ისიც უდროოდ წასულია. ასე ვიცით თქმა. შენ რომ მოდიხარ, მე გხედავ, გელაპარაკები, გეფერები, ჩემი მეგობრებიც იქვე არიან. შენს მოტანილ საჭმელს მივირთმევთ, ასეთი წესია, ერთმანეთში ვინაწილებთ. მე შენით ძალიან ვამაყობ მეგობრებთან. ყოველდღე მოდიხარ, საფლავს უვლი, ყურადღებას მაქცევ. სხვებთან ერთხელ თუ ამოვლენ, ისიც საქმეა. უკვე, ორ წელიწადზე მეტია გასული, შენ კი მაინც მივლი. მე შენ ძალიან მიყვარხარ. მაგრამ ამან რომ დაგირეკა, შემრცხვა, გული გამისკდა! თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა, გავბრაზდი და კოჭლი ნინა რომაა, იცი შენ, საფლავის მომვლელი, იმან მითხრა, სასაფლაოს ბოლოს, ღობეა გარღვეული და იქიდან იპარებიანო... თუ ძალიან უჭირთო, თუ უსათუოდ უნდა გაიპარონო, მაგრამ არ უნდა შეგამჩნიონო, მიქელმა არ უნდა დაგინახოსო, თორემ დაისჯებიო. მაგრამ, მაინც გამოვიპარე, რომ... დანარჩენზე არ მიფიქრია...

სულიკო

არ მინდა, მუდამ ჭირისუფალი ვიყო! არ მინდა, სულ შავები მეცვას და მთელი დარჩენილი ცხოვრება ვგლოვობდე. მინდა ნორმალური ოჯახი, ცოცხალი ქმარი, ბავშვები, ჩვეულებრივი, ქალური ბედნიერება! ნუთუ, ასე ძნელია ამის გაგება? ნუთუ, ასე ბევრს ვითხოვ!

მალხაზი

...მაგრამ ახლა, ახლა მზად ვარ ყველაფერი გაპატიო და დავივიწყო, მეხსიერებიდან ამოვშალო ეს დღე და სამუდამოდ ერთად ვიყოთ.

სულიკო

(პაუზის შემდეგ) მალხაზ, რაც უნდა მოხდეს, ვინც უნდა იყოს, გაბედე და მითხარი, ვინ არის ის ქალი!

მალხაზი

მე ორი წლის გარდაცვლილი ვარ, სულიკო!

სულიკო

სულიკოს მოუკვდი შენ!

მალხაზი

გაგიჟდი? მე ხომ მკვდარი ვარ?

სულიკო

ბავშვი გყავს იმ ქალთან?

მალხაზი

აი, ამას, ჰკითხე, ჰკითხე!

გია

(დგება, იწყებს ჩაცმას). მე, მე ახლა ვფიქრობ იმაზე, რაც არასდროს მიფიქრია. ვფიქრობ, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში გაცილებით მეტი აზრი მოდის თავში, რომელიც ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე მაშინ, როდესაც არსად მეჩქარება. მალხაზი მაჩქარებს. *(მალხაზს)* თქვენ უხეშად ეხებით ჩემს დამფრთხალ თავმოყვარეობას და მაიძულებთ დავაჩქარო სისხლის მოძრაობა. მაიძულებთ გამოვყო დამატებითი ძალები, დავძაბო გონება, სხეული და ვიყო ექსტრემალი მაშინ, როდესაც ეს-ეს არის სტაბილური ცხოვრების უპირატესობაში დავრწმუნდი. ახლა სურვილი გამიჩნდა, თქვენ და სულიკოს ჩემი კომპიუტერივით შათ დაუნი გაგიკეთოთ და არასდროს ჩაგრთოთ. არ იქნებოდა ცუდი... იქნებოდა... არაჩვეულებრივი – მე ვიტყოდი. ვიყოთ კომპიუტერები. გვქონდეს დიდი ქეისი, მაღალი, ლამაზი, ერთი დაჭერით რომ გძვრება, აა? როგორია? იყო აი შვიდი, არა, აი რვა! „ინტელის“ პროცესორით, რომლის სიჩქარე ორი ათას რვაასი ჰერცია წამში და მეხსიერება შენი იყოს ტერაბაიტი? აა? წარმოუდგენელია! ვიყოთ „ვინდოუზ ექსპე ათი“ და გვეყენოს უამრავი პროგრამა. გვედგას ორი ქულერი, რომელსაც ყოველთვის ერთი ტემპერატურა უჭირავს: ზამთარში თბილად და ზაფხულში გრილად და, რაც მთავარია, სიკვდილით არავინ მემუქრებოდეს. იმიტომ, რომ იყო კომპიუტერი, თუნდაც პენტიუმ ოთხი და მაინც შენს მოკვლას აპირებდნენ – არ ვარგა. მაგას სჯობს, ისევ იყო ის, რაც ხარ. იმიტომ, რომ თუ ნატრობ, უნდა ინატრო ყოველთვის საუკეთესო. ასე ამბობენ. და მეც ვინატრებ, რომ საერთოდ არ ვიყო.

(გია მიიპარება, მაგრამ კარში სასაფლაოს გასაღებ მპყრობელი – მიქელი გადაეღობება).

მიქელი

რატომ მიკეთებ ამას?

(სამარისებური სიჩუმეა. მიქელი ოთახში შემოდის. სულიკოს ყურადღებით ათვალიერებს).

მალხაზი

(პაუზის შემდეგ) გაიცანი, სულიკო, ეს მიქელია. სასაფლაოს გასაღებ მპყრობელი.

სულიკო

ცოცხალია თუ მკვდარი?

გია

მკვდარი... აი, პრინციპში, სულ ეს იყო.

სულიკო

დაბრძანდით, ცოტა უხერხულად ვარ, მოვიცვამ რამეს.

მიქელი

არა უშავს, ნუ შეწუხდებით...

სულიკო

რითი გაგიმასპინძლდეთ, არც კი ვიცი. ასე უცაბედად, სამ მამაკაცს არ ველოდი. ახლავე დავბრუნდები. *(საძინებელი ოთახიდან გადის).*

მიქელი

(გიას) გია სალაძე?! დიდი ხანია გეძებ, გია სალაძე. შენც იმ კოჭლმა ნინამ გამოგაპარა, ხომ?

გია

(უხერხულად გრძნობს თავს. მალხაზს) ვერ მოვასწარი თქმა...

მალხაზი

(გიას კისერში სწვდება) მოგკლავ შენი!..

მიქელი

(აშველებს). მორჩი, ახლა...

გია

(მალხაზის ხელებისგან საკუთარი კისრის გათავისუფლებას ცდილობს). რას მერჩი, შენც ისეთივე მკვდარი ხარ, როგორიც მე...

მალხაზი

(ახალი ძალით ცდილობს ჩანაფიქრი აღასრულოს). მერე, მერე მე დავწექი შენს ცოლთან?! მე დაგინგრიე ოჯახი?! მე დავურეკე შენს ცოლს?! მე გამოვიპარე პირველი?!

გია

მომკლავს, მომკლავს, მიშველე, დამახრჩობს ეს მანიაკი!..

მიქელი

(მოძალადესა და მსხვერპლს გაჭირვებით აშველებს). იცოდეთ, იცოდეთ, ორივეს დაგსჯით, ახლა თუ არ გაჩერდებით! რას იტყვის ეს ქალი?! რას იფიქრებს?! თქვენ, ეს... ეს, ორი გარდაცვლილი საიქიოდან გამოიქეცით და საერო საქმეებზე ისე მსჯელობთ, თითქოს მართლა ცოცხლები იყოთ! ხმა, კრინტი არ გავიგო თქვენი! სწორდი, სმენა! *(პაუზის შემდეგ. საკუთარი ბრძანების შესრულებით კმაყოფილი)* ფლიდებო, მატყუარებო... ფიცი გაქვთ დადებული, რომ ცუდ განზრახვას გულში არ გაივლებდით და რას ვხედავ? ასე როგორ დაგთრგუნათ სხეულმა? ასე, ასე... რამ დაგცათ? რამ შეგქმნათ ადამიანად? რამ?! მე, მიქელი, ამხელა სასაფლაოს გასაღებ მპყრობელი, ორი ახალი მკვდრის გამო იმქვეყნიურ ცხოვრებაში დავბრუნდი და ესენი აქ თურმე ერთობიან, ქალებში დადიან და ჩხუბობენ. *(ტანკსაწინააღმდეგო „ბაზუკას“ შენიშნავს).* ღმერთო ჩემო, ეს საიდან? ომარას მოპარე? მოგკლავს, შე უბედურო. ისვრის მაინც?

მალხაზი

რო მესროლა, გეტყოდი.

მიქელი

ომარასთან რამ მიგიყვანა? ოცი წელია საფლავიდან არ გამოსულა. დეპრესიაშია.

გია

ომარას როგორ მოპარე იარაღი, შე უსინდისო, კაცი ომში დაიღუპა!

მალხაზი

არ მომიპარავს! თვითონ მათხოვა.

გია

სტყუი!

(მალხაზი გიაზე გაიწევს. მიქელი წინ ეღობება და შეაჩერებს).

მიქელი

უჰ, თქვე მაოხრებლებო!

მალხაზი

(მიქელს) პირველი ამან დაიწყო!

გია

(მიქელს) მე კი არა, ეს შემომივარდა პირველი!

მიქელი

ხმა! სწორდი, სმენა! *(პაუზის შემდეგ. კვლავ ბრძანების შესრულებით კმაყოფილი)* დღეს სამი მკვდარი მომიყვანეს. ვერც გასაუბრება მოვასწარი, ვერც ახსნა. რა ვუყო ახლა მათ? დგანან და მელოდებიან. და სულ თქვენ გამო. დეზერტირებო!

მალხაზი

მაგათაც არ ეჩქარებოდეთ სადმე.

მიქელი

ხუმრობის ხასიათზე მოგიყვან შენ, მალხაზ ქუმსალია!

გია

მეტის ღირსია ეგ.

მალხაზი

(კვლავ ეცემა გია სალაძეს საცემრად. მიქელი კვლავ გზას გადაუღობავს). მოხვალ შენ იქ! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები!

გია

(მიქელს) ხედავ, ხედავ, როგორ მემუქრება? არა, ამას ისეთი გაკვეთილი უნდა ასწავლოთ, დაამახსოვრდეს. მთელი სიკვდილი რო ახსოვდეს.

(შემოდის სულიკო. ეტყობა, რომ სარკის წინ დრო უქმად არ დაუკარგავს).

მიქელი

უკაცრავად, ქალბატონო...

სულიკო

სულიკო.

მიქელი

...სულიკო. ბოდიშს გიხდით, ჩვენ სასაფლაოზე კოჭლი ნინაა, გეცოდინებათ ალბათ, ჭირისუფალი ბრძანდებით, ერთი ეშმაკის ფეხია. ის მირევს ყველაფერს. ჯერ კიდევ მისი მშობლები და მშობლების მშობლები... *(გასასვლელისაკენ მიდის. გია და მალხაზი თავდახრილნი მორჩილად მიჰყვებიან).*

სულიკო

რას აკეთებთ?

მიქელი

მეტს აღარ შეგაწუხებთ.

სულიკო

კი მაგრამ, ყველანი მიდიხართ?

მიქელი

აუცილებლად.

სულიკო

როგორ, ჯერ საქმრო მყავდა, შემდეგ ქმარი, შემდეგ თქვენ მოხვედით და ორივე მიგყავთ? ერთი მაინც დამიტოვეთ.

მიქელი

სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია.

სულიკო

ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალისათვის, მგონი, შეუძლებელი აღარაფერია. თქვენ თქვით, რომ ჩემი ქმარი მკვდარია, გია სალაძეზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არაფერი გიხსენებიათ.

მალხაზი

რას აკეთებ, სულიკო? ამ მაიმუნთან გინდა დარჩენა? მე? მე აღარ ვარ შენი ქმარი?

სულიკო

გია, დაბრუნდი!

მალხაზი

სულიკო, ჩემ თვალწინ, ჩემი უფროსის თანდასწრებით, რას მიკეთებ? რა სახელით დავბრუნდები უკან? რას იტყვიან ჩემზე? ამაზე არ გიფიქრია?

სულიკო

მაგაზე შენმა საყვარელმა იფიქროს.

(გია სალაძე ორიოდე ნაბიჯის შემდეგ მხარზე მიქელის მძიმე ხელს იგრძნობს. გია ჩერდება).

მიქელი

სამწუხაროდ, ქალბატონო გულიკო...

სულიკო

სულიკო, მე სულიკო მქვია, ჯერჯერობით. თუ მეც მკვდარი არ აღმოვჩნდი!

მიქელი

როგორ გეკადრებათ, ქალბატონო სულიკო, როგორ გეკადრებათ.

მალხაზი

რატომ? რატომ, ამიხსენი! რატომ მამცირებ ასე? რას მერჩი?

სულიკო

იმიტომ, რომ შენ სიტყვებს თუ დავუჯერებ, შენ მკვდარი ხარ, მალხაზ!

მალხაზი

(მიქელზე მიუთითებს) ესეც მკვდარია, სულიკო. ეს ჩემზე დიდი ხნის მკვდარია!

სულიკო

გეყოფა! გაეთრიეთ ჩემი სახლიდან. *(სამივე ემორჩილება).* გია სალაძე, მოდი აქ! არსად არ გაგიშვებ. ნუ გეშინია, ისინი ვერაფერს გიზამენ! ვერ ხედავ, რამხელა პისტოლეტი მიჭირავს? *(ტანკსაწინააღმდეგო „ბაზუკას“ მხარზე შემოიდებს).*

(გია სალაძე სულიკოს მიმართულებით ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, მხარზე კვლავ მიქელის მძიმე ხელის შეხებას იგრძნობს. გია კიდევ ერთხელ ჩერდება).

მალხაზი

შენ ახლა, სულიკო, კიდევ ერთხელ მომკალი.

სულიკო

მიქელი ბრძანდებით, თუ არ ვიცი ვინ, დაანებეთ გია სალაძეს თავი!

მიქელი

სამწუხაროდ, ქალბატონო სულიკო, არ შემიძლია. გია სალაძეც საიქიოდანაა გამოქცეული, საიდანაც თქვენი ქმარი...

მალხაზი

დამასვარეთ ბარეღამ საფლავზე!

სულიკო

მართალია გია ეს?

(გია არ უპასუხებს).

სულიკო

შენ გელაპარაკები, გია, მართალი თქვა ამ კაცმა?

(გია სალაძე ფეხსაცმელზე ეძებს პასუხს).

სულიკო

გია! მითხარი, მითხარი... შენც ცოლი გყავს?

(გია სალაძე ახლა ჭერში ეძებს პასუხს).

სულიკო

გია!

გია

არა, მეც მკვდარი ვარ, სულიკო...

მიქელი

სამწუხაროდ, უნდა წავიდეთ. დიდი მადლობა მიღებისათვის, უკეთეს დროს და სხვა პირობებში თქვენი ხილვისა და ურთიერთობის საშუალება მექნებოდა, მაგრამ რას იზამ? მაპატიეთ, ეს მეტად აღარ განმეორდება. ჩვენ უნდა დაგტოვოთ. აბა, მალხაზ, გია, სწორდი, სმენა! ბოდიში მოუხადეთ დიასახლისს, ჩვენ მივდივართ. დანარჩენზე იქ მოგელაპარაკებით.

სულიკო

გამოდის, რომ სამივე გარდაცვლილი ხართ?

გია

სულიკო, მე ვაპირებდი თქმას...

სულიკო

(აწყვეტინებს) გამოდის, რომ მარტო ვცხოვრობდი და ახლა, ერთდროულად, სამი მკვდარი მამაკაცი მყავს სახლში?

მიქელი

ქალბატონო სულიკო...

სულიკო

გაკმინდეთ ხმა! აბა, გეყოთ ახლა, გამოტყდით, რაში გჭირდებათ ეს სისულელე?

მალხაზი

მე შენი ქმარი ვარ, სულიკო.

გია

მე კიდევ, საქმრო.

სულიკო

ახლა, მართლა რომ მოგკლათ ყველანი, ღირსი არ იქნებით?

(მიქელი კარს აღებს. მალხაზი და გია გასასვლელში დგანან).

მიქელი

ქალბატონო სულიკო, დაგვიბრუნეთ იარაღი, ეგ იარაღი ჩვენი არ არის. ორმოცდასამში დაღუპული ომარა ჩერჩეროვისაა. ძალიან ეწყინება, თუ უკან არ მივუტანთ.

სულიკო

(სულიკოს მხარზე ჯერ კიდევ ტანკსაწინააღმდეგო „ბაზუკა“ უდევს) არ გაინძრეთ, თორემ გესვრით!

მალხაზი

დამივიწყე და დაივიწყე ჩემი საფლავი!

გია

ჩემიც, სულიკო!

სულიკო

გესვრით, იცოდეთ!

მიქელი

მკვდრები არ კვდებიან, ქალბატონო სულიკო.

(მიქელის სიტყვების გასაგათილებლად, სულიკო ისვრის. ყუმბარმტყორცნის ხმა და მისგან გამოწვეული კვამლის ფონზე მეორე სურათი მთავრდება).

მეორე მოქმედება

პირველი სურათი

(მალხაზ ქუმსალიას და სულიკოს საძინებელი ოთახი. მალხაზი არც ახლაა შინ. იგი ხომ ორ წელიწადზე მეტია სასაფლაოზე განისვენებს. სამაგიეროდ, იქ არის მიქელი. დიახ, დიახ, სასაფლაოს გასაღებ მპყრობელი მიქელი. სულიკო ლოგინში წევს. მიქელი ხალათმოსხმული სარკის წინ დგას).

მიქელი

წარმოგიდგენია? სარკეში ჩემს თავს ვერ ვხედავ...

სულიკო

რა საყვარელი ხარ...

მიქელი

შენ იცინე და... მოდი, ხელი მოვაწეროთ.

სულიკო

ხუმრობ?

მიქელი

კარგი.

სულიკო

რა კარგი?

მიქელი

არ მოვაწეროთ, თუ გინდა.

სულიკო

შენ მაინც არ იცოდე, რა იყო ჩემთვის პირველი ქორწინება. ახლა გინდა ისევ იქ დამაბრუნო?

მიქელი

(სარკეში. თავის თავს) იცი, ამასწინათ რა ვიფიქრე? მინდა ვიყოთ სევდიანები, იმიტომ, რომ სევდიანნი იშვიათად თუ ვართ. სევდიანი ადამიანი ჩვენს დროში იშვიათობაა. სევდიანი ადამიანი საზოგადოებისაგან მეტ პატივისცემას იმსახურებს. სევდიანი ადამიანი უფრო ჩაფიქრებული, უფრო დარდიანი, უფრო დამწუხრებულია, ვიდრე ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე. ამიტომ იშვიათობა გახდა, სასაფლაოზე სევდიანი ადამიანების დანახვა. ყველა დადის მხიარული, მოღიმარი და აღგზნებული.

სულიკო

სასაფლაოზე?

მიქელი

აი, სევდიანი კაცი, რომელიც ვიწრო ბილიკს მიუყვება, წასული ფიქრებში. პარალელურად აწმყოზე დარდობს. ან მომავალზე? თუმც, ეს სულერთია. სევდიან ადამიანს რაც უნდა აწუხებდეს, მის თვალებს ეს არ ეტყობა. ჩვენ ვხედავთ, მხოლოდ სევდას და უსასრულოდ გაშლილ მზერას, რომელიც ნერვების მოშლამდე ერთფეროვანია და მაინც პატივს ვცემთ სევდიან ხალხს. სევდა მოდაში შემოვა, ალბათ. მე, საერთოდ, მახასიათებს მოდის განსაზღვრა. უსასრულოდ განვითარებული მაქვს წინათგრძნობა და ვიცი, რომ სევდა ადრე თუ გვიან მოდაში შემოვა. მე არც ცნობილი კუტურიე და არც გამოჩენილი პრომოუტერი ვარ. ამიტომაც, ობიექტურად მაქვს იმის უფლება ვივარაუდო, რომ გავა ხანი და სევდა მოდური გახდება. სევდა დაიპყრობს ინტელიგენციას. უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენციას, იმიტომ, რომ საზოგადოებას ყველაფერ ახალს და საინტერესოს ისინი სთავაზობენ. მე ისიც კი ვიცი, ვინ იქნება პირველი სევდიანი ქართველი ინტელიგენტი. გითხრა? რა გჭირს?

სულიკო

რამდენი ხანია, მალხაზის საფლავზე არ გავსულვარ.

მიქელი

მეშინია სუბიექტურობაში არ ჩამომართვა, მაგრამ ასე იქნება. და იცი, ვინ იქნება პირველი, ვინც „დასევდიანდება“. მამაკაცს ვხედავ. აუცილებლად! *(მიქელი საკუთარი გარეგნობის აღწერას იწყებს)* ნახევრად მელოტი, უღიპო, საშუალო სიმაღლის, მოხდენილი, წელში გამართული, სიმპათიური... ეს მალე მოხდება და მალე მოვა დღეს, შეიძლება ითქვას, ის უკვე მოსულია. უბრალოდ, არავის უნდა შეიმჩნიოს, რომ მალე ახლაა და ახლა წარსულია! ამის დანახვა არავის სურს!!!

სულიკო

მკვლელო, ჩემი ქმრის მკვლელო! როგორ დაგიჯერე, როგორ გენდე და რა სულელი ვყოფილვარ!

მიქელი

რა დაგემართა, სულიკო?

სულიკო

(ჩაცმას იწყებს). ღმერთო ჩემო, როგორ ვერ ვხედავდი ამდენ ხანს, რომ ასეთი გულცივი და არაადამიანი ყოფილხარ.

მიქელი

მე მეუბნები ამას? სულიკო...

სულიკო

არ მომეკარო! სამი თვეა რაც გაგიცანი და ამოვიდა უკვე ყელში შენი სისულელეების მოსმენა. ღმერთო, სად ვიპოვო ჩემი ქმარი? ნუთუ, მართლა სასაფლაოზე ცხოვრობს? ნუთუ, სხვა ქალს დაუბრუნდა? არადა, თავისი ფეხით მოვიდა, ჩემთან მოვიდა და მითხრა – მიყვარხარო, მე კიდევ ვესროლე. ვესროლე და სასიკვდილოდ გავიმეტე. კიდევ კარგი, არ მომიკლავს.

მიქელი

ის უკვე დიდი ხნის მკვდარია, სულიკო, მაგას რა მოკლავდა.

სულიკო

ხმა გაკმინდე! მკვდარი შენ ხარ!

მიქელი

მეც მკვდარი ვარ. ეს შენთვის არასდროს დამიმალავს, მაგრამ რატომღაც ამაზე სულ იცინოდი.

სულიკო

სად არის ჩემი ქმარი?

მიქელი

სასაფლაოზე.

სულიკო

არ მეხუმრება!

მიქელი

არც მე არ ვხუმრობ, სასაფლაოზეა, იქ ცხოვრობს.

სულიკო

სად, სად, სად, სად, სად, რა უნდა სასაფლაოზე? ბინა არა აქვს თუ ლოგინი?

მიქელი

რა ვიცი...

სულიკო

მივალ და პატიებას ვთხოვ. უნდა მაპატიოს, თვითონაც ხომ სხვა ქალთან ცხოვრობდა? თვითონაც ხომ მიღალატა? რა ჩემი ბრალია, მე რომ ის გარდაცვლილი მეგონა? თვითონაა დამნაშავე. ყველაფერი მისი ბრალია. ოო, როგორ მიშლის ნერვებს. მივალ, მივალ და ჩემი ხელით კიდევ ერთხელ მოვკლავ. სად არის!

მიქელი

სასაფლაოზე-მეთქი.

სულიკო

რა ჯანდაბა უნდა სასაფლაოზე?!

მიქელი

(შეშინებული) ის ხომ, მოკვდა.

სულიკო

კიდევ ერთხელ იტყვი ამას და არ ვიცი რას გიზამ! *(კართან მიდის).* მე ახლა სასაფლაოზე წავალ, ჩემს ქმარს ვნახავ და თუ ვინმე ქალთან წავასწარი, იცოდე, ვერ გადამირჩები. რომ მოვბრუნდები, უმჯობესია, აქ არ დამხვდე. *(გადის).*

მეორე სურათი

(ჩვენ კვლავ სასაფლაოზე გადავინაცვლებთ, სადაც წესით ყველაფერი ისევ ისეა, როგორც პროლოგში იყო. შემოდის ნინა. მისი მონოლოგი ჩვეული საქმის ფონზე გრძელდება. საფლავებს ასუფთავებს, ძველ ყვავილებს ალაგებს და ა.შ.).

ნინა

გუშინ ახალი მკვდრები მოიყვანეს. დასაფლავება დამთავრებული არ იყო, უკვე გაქცევაზე ეჭირათ თვალი. ადრე, ჩემი მშობლების დროს, მათი მშობლების და კიდევ იმათი მშობლების დროს, ვინ იფიქრებდა გაპარვაზე. ახლა ისე გადიან და შემოდიან, არავის ეკითხებიან. იცი, რისი ბრალია ეგ? მე ვიცი! რწმენა რომ აღარ აქვს ხალხს, აი, იმისი. მოდიან მკვდრები და წესით, აქ უნდა იცხოვრონ, იციან ეს, მაგრამ არაფრის აღარ სწამთ და აღარც სჯერათ. ვინ?! მკვდრებს აღარ სჯერათ, რომ მკვდრები არიან და ცოცხლები დაიჯერებენ რამეს? იცი რა? ყურს რომ აღარ მიგდებენ, ეგ ვიცი და არც მწყინს. შევეჩვიე უკვე... შეკაიდედმამიშვილო, ვეუბნები, აი შენი მიცვალებული ამას ითხოვს, იმას ითხოვს, არა! მიყურებენ, მიყურებენ და მიდიან. აი, ჩემს მშობლებს, იმათ მშობლებს და კიდევ, იმათ მშობლებს უჯერებდნენ. მაშინ სხვა ხალხი იყო, უფრო ჭკვიანი. სხვანაირად კვდებოდნენ, სხვა იყო რაღაც, ტირილიც უფრო ალალი იყო, დატირებაც და დამარხვაც. მიცვალებულიც უფრო წესიერი ჩანდა, პატიოსანი. ახლა? არა, იცი რაზე ვბრაზდები? *(გადაიფიქრებს)*. ეჰ... კარგი ერთი... *(პაუზის შედეგ)* კი მაგრამ, რა გახდა ვითომ? აი, მოვკვდები მეც. მერე? მოხდება რამე? ჩემთვის არაფერი შეიცვლება. სადაც ვცხოვრობ, იქ ვიცხოვრებ. ჩემს სახლში დამმარხავენ, სადაც წინაპრები არიან დამარხული. ისევ მოვუვლი ამ სასაფლაოს და მაინც არავინ დამიჯერებს, რომ მოვკვდი, იმიტომ, რომ ამათ, *(საფლავის ქვებსა და ბიუსტებზე მიუთითებს)*, ამ მკვდრებს ვგულისხმობ, მეც მკვდარი ვგონივარ. უფრო სწორად, გამოქცეული. ფიქრობენ, რომ აჩრდილი ვარ. იმიტომ ვერაფერს მეუბნება მაგათი დირექტორი. მიქელი ქვია. ამივლის, ჩამათვალიერებს, ისე, თითქოს ჩემთვის მინდოდეს ეს მიწა. ზედ არ შემომხედავს. ერთი ეგ არის, აი! უუ, ისე მიშლის ხანდახან ნერვებს! ადრე სხვა ყავდათ დირექტორი, ის შეცვალეს და ეს დაუნიშნეს. დაუნიშნეს და დაიწყო არეულობა. ნამეტანი უპრინციპო აღმოჩნდა. ნამეტანი! კაცი სამართლიანი თუ არ ხარ, ცოცხალიც უჯიშო იქნები და მკვდარიც. თუ ადამიანს სამართალი უყვარს, სამარეშიც უყვარს. ასეა ხალხი. გრძნობს, რომ შეიძლება უსამართლობა სამართლიანობად გაასაღო და ბევრი სარგებლობს. *(თენგულა ასათიანის ბიუსტთან*

ჩერდება). აი, მაგალითად, ეს... თენგიზ ასათიანი. ეგ, იმ მალხაზთან მეგობრობს, ცოლმა რო შეარცხვინა. ქალის ნდობა არ შეიძლება, მით უმეტეს, თუ ცოცხალია. წესიერი კაცია. რო აირია სასაფლაო, ერთხელ არ უცდია გაქცევა. აბა?!. აი კიდე მაგათი მეგობარი, ბისმარკ კაპანაძე. *(გვერდით მდგარ ბიუსტთან მიდის).* ეგეც არის რა! *(გვარს და სახელს გამოთქმით წარმოთქვამს).* ვითომ, მართლა ბისმარკ კაპანაძე იყოს! რა ხანია, კაციშვილს არ მოუკითხავს და დამლაგებელი გამხადა. „მადლობა“ რა არის, იმას არ გეტყვის. ტფუ! აი, მალხაზ ქუმსალიას საფლავი. *(მალხაზის ბიუსტთან მიდის).* რაც ეგ ამბავი შეემთხვა, გარეთ არ გამოდის, ჩაიკეტა. ეუბნებიან, გამოდი მალხაზ, გამოდი მალხაზ. გაჯიუტდა. არაო. ცოლი აღარ მოსულა. ამბობენ, არ ვიცი რამდენად მართალია, ამბობენ, მიქელიც ამ ბოლო დროს, ხშირ-ხშირად გადის იქითო. ასე ამბობენ. მე არ ველაპარაკები და არც მიკითხავს. რატო უნდა ვკითხო? რა, ჩემი ტოლია, თუ? კარგი კაცია მალხაზი. მანქანას გაუტანია. ეჰ, რა კარგი ქალი მეგონა მაგის ცოლი. რას არ გაიგებს ეს ყურები... ვინ? ვინ მკითხეთ? მაგის საყვარელი? ის ქეციანი გია სალაძე? ეეე მაგის საფლავი. გორაზე რო მოჩანს. ახლა, ეგაა მკვდარი და მე ცოცხალი? წესით, მიცვალებულებს მიწაში იმიტომ მარხავენ, ჩვენს ქვემოთ რომ იყვნენ და არა ზემოთ. აბა, იმ გორას შეხედე. ლამისაა თავზე დამადონ კუბოები. არ მოიქცა კარგად.

(ჩუმი ნაბიჯით სულიკო შემოდის. ნინა ვერ ამჩნევს).

ნინა

რა მოხდა, თუ იცი? ამისმა ცოლმა, ე, იმასთან უღალატა. მერე უთხრა, არ მოიქეცი სწორადო და ესროლა. ამ დროს მივიდა მიქელი და წამოიყვანა ორივე. არ დაუსჯია. ასე უთქვამს, თავის უბედურება ეყოფათო. აბა? რა არის მაინც ქალი? როგორ უნდა იკადრო მასეთი რამე. კაცი მკვდარი გყავდეს და სხვა მკვდართან დაწვე. ტფუ! არ მესმის და მომკალი.

სულიკო

(ჩუმად, შეშინებული) ქალბატონო ნინა, ქალბატონო ნინა, გამარჯობა, მე სულიკო ვარ. გახსოვართ ალბათ... მალხაზ ქუმსალიას ქვრივი. თუმცა, რაღა ქვრივი...

ნინა

გაცოცხლდა თუ შენი ქმარი?

სულიკო

ის არც მომკვდარა. ცოცხალია და ახლა ვეძებ. სამიოდე თვის წინ შინ დაბრუნდა... ცოტა ვიჩხუბეთ და...

ნინა

და ისევ მოკვდა?

სულიკო

დიახ, უფრო სწორად არ მომკვდარა. სახლიდან წავიდა.

ნინა

სულ გაგიჟდა ეს ხალხი. მკვდრები ცოცხლები ჰგონიათ და ცოცხლები მკვდრები.

სულიკო

ვიცი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩემი ქმარი ცოცხალია. მე კი მკვდარი მეგონა. აი, მისი საფლავი. რა სისულელეებს ვლაპარაკობ. მითხარით, სად არის?

ნინა

(საფლავზე მიუთითებს) აი.

სულიკო

ეგ ვიცი, მისი საფლავია. თვითონ სად არის?

ნინა

(კვლავ საფლავზე მიუთითებს) აი.

სულიკო

გასაგებია, მაგრამ თვითონ სად არის? მალხაზმა მითხრა, სასაფლაოზე ვცხოვრობო.

ნინა

ვიცი, გამოიპარა.

სულიკო

დიახ, დიახ, მეც ასე მითხრა... გამოიპარა. მინდა დავიხსნა და დამეხმარეთ, გემუდარებით მითხარით, სად მალავს?

ნინა

ვინ მალავს?

სულიკო

ქალი, ის... ის ქალი, ვისთანაც ცხოვრობს... ალბათ დაბმულია და აწამებს?

ნინა

შენ ქმარს არავინ აწამებს. მშვენივრად გრძნობს თავს. ქვის უკან ზის.

სულიკო

(საფლავს გარს უვლის). სად არის?

ნინა

შენ ვერ დაინახავ. მე ვხედავ.

(საფლავიდან ამოდის მალხაზ ქუმსალია. მას ჩვენ, ანუ მაყურებელი ვხედავთ. სულიკო კი ვერა).

სულიკო

ქალბატონო ნინა, გთხოვთ ნუ მეხუმრებით. ჩემი გასაჭირიც მეყოფა!

ნინა

(მაყურებელს) აი, არავის სჯერა, მკვდრებს რომ ვხედავ.

სულიკო

არ წახვიდეთ. გთხოვთ, ამიხსნათ, მე ჩემს ქმარს ვეძებ, მალხაზ ქუმსალიას. აქ უნდა იყოს მისი სახლი სადღაც, ან შეიძლება... არ იყოს... უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი... *(გასვლას აპირებს).*

ნინა

აქ არის თქვენი ქმარი. აი, აქ ზის. ახლა ადგა. თუ რამის თქმა გინდა, უთხარით, მის დანაბარებს მე გადმოგცემ.

(სულიკო წასვლას გადაიფიქრებს. ჩერდება. ადგილიდან არ იძვრის. ფიქრობს, დაიჯეროს თუ არა კოჭლი ნინას ნათქვამი. სიტყვის თქმას არ ჩქარობს. ნინას ლოდინი ჰბეზრდება და ახლა ის დააპირებს გასვლას).

სულიკო

(პაუზის შემდეგ) გამარჯობა, მალხაზ.

(ნინა ნაბიჯს შეანელებს. მკითხველს შევახსენებ, რომ სულიკო ერთადერთია, ვინც გარდაცვლილებს ვერ ხედავს და არც მათი ესმის. ავტორის მეშვეობით, თქვენ, ძვირფასო მკითხველო და მაყურებელო, ეს სიამოვნება მოგენიჭათ. ამიტომ, გულდასმით დააფასეთ ის, რომ თქვენ ახლა მკვდრებსაც ხედავთ და ცოცხლებსაც. მომდევნო სცენა ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სასაფლაოზე სულიკო მხოლოდ ნინასთან ერთად დგას).

მალხაზი

ნინა, უთხარი რომ წავიდეს.

ნინა

(სულიკოს) მალხაზიც მოგესალმება.

სულიკო

ღმერთო...

მალხაზი

(ნინას) დამანებოს თავი.

ნინა

(სულიკოს) მიხარიაო, რომ მოხვედიო...

სულიკო

ღმერთო...

მალხაზი

(ნინას) რასაც გელაპარაკები, ის უთხარი!

ნინა

(სულიკო) ძალიან, ძალიან გამიხარდაო...

სულიკო

ღმერთო...

მალხაზი

(ნინას) რატომ მიკეთებ ამას?!

ნინა

(სულიკოს) უთხარი, უთხარი, რაც გინდა, აგერ დგას და ესმის ყველაფერი.

სულიკო

თავს უხერხულად ვგრძნობ...

მალხაზი

იმასთან რომ იწვა, მაშინ არ გრძნობდა თავს უხერხულად? ჰკითხე ერთი მაგას!

ნინა

(სულიკოს) არა უშავსო, არ ინერვიულოსო.

სულიკო

რა ვიცი... ვაიმე, მგონია, რომ თეფშს ვატრიალებ...

მალხაზი

ნინა, იცოდე გავბრაზდები.

სულიკო

აი, ახლა, აქ დგას, ჩემ წინ და მე ვერ ვხედავ?

ნინა

(მალხაზს) სისულელეებს ლაპარაკობ, რაღაცას!

მალხაზი

(ნინას) რას ნიშნავს სისულელეებს? აბა, მე ვიყავი, მითხარი, მე ვიყავი სხვასთან? რომ შევედი და ნებივრობდა, ერთობოდა და მშვენიერ ხასიათზე იყო, მე ვიყავი!? მითხარი, მე შენ გელაპარაკები! ასე, სიცილ-კისკისით უნდა იცხოვროს? მითხარი!

ნინა

(მალხაზს) ვაი შენს პატრონს!

მალხაზი

(ნინას) მართალი ხარ. ვაი ჩემ პატრონს! *(საფლავში ჩადის).*

ნინა

(მალხაზს) ტფუ!

სულიკო

(ნინას) რა ხდება, ქალბატონო ნინა, გამაგებინეთ, რა უნდა?

ნინა

(მალხაზს, საფლავს თავზე წამოადგება). რა გგონია აბა შენ, მთელი ცხოვრება შავებში უნდა იყოს ეს კოწახურივით ქალი?

სულიკო

(ნინას) ჩემზეა ლაპარაკი?

ნინა

(სულიკოს) მადროვე ერთი წუთით! *(მალხაზს)* გამოდი მანდედან, რომ ჩაძვერი!

სულიკო

(ნინას) სად წავიდა? ვის ელაპარაკებით? აქ არ იდგა, თქვენ არ მითხარით?

ნინა

(სულიკოს ყურადღებას არ აქცევს. მალხაზს) გამოდი გარეთ!

მალხაზი

(საფლავიდან მისი ხმა გვესმის) უთხარი წავიდეს. თვალით არ დამენახოს.

ნინა

ამხელა კაცი ხარ, რა დროს შენი ტირილია, ბიჭო.

სულიკო

(ნინას მხარზე მიეკრობა). ვაიმე, ქალბატონო ნინა, ტირის?

ნინა

(სულიკოს) აბა, რა გეგონა.

სულიკო

(ნინას) და მე რა ვიცოდი, ცოცხალი თუ იყო?

ნინა

(სულიკოს) ვინაა ცოცხალი? ეს მკვდარია ცოცხალი? *(მალხაზს)* ამოდი ახლა და უთხარი რომ მოკვდი.

სულიკო

(მალხაზის საფლავს) მალხაზ, ამოდი ახლა და მითხარი, ბოლოს და ბოლოს, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი.

ნინა

(სულიკოს) აღარ ამოვა ეგ.

სულიკო

(ნინას) რას ნიშნავს აღარ ამოვა? გამაგებინეთ, ხალხო, მე გავგიჟდი თუ მაშაყირებთ? ყველა მკვდარი მე რატომ უნდა გადამეყაროს? გამაგებინეთ, ორი წლის წინ დავმარხე ეს უბედური, შემდეგ თავზე წამომადგა და მეუბნება, ცოცხალი ვარო.

მალხაზი

(საფლავიდან) ეგ მე არ მითქვამს, მე ვუთხარი, მკვდარი ვარ და გამოვიპარე-მეთქი. მაგრამ არ დამიჯერა.

ნინა

(სულიკოს) ეგ არ მითქვამსო. მე ვუთხარიო, მკვდარი ვარ და გამოვიპარეო და არ დამიჯერაო.

სულიკო

(ნინას) არა, მითხარით, მითხარით რა, ქალბატონო ნინა, თქვენ დაიჯერებდით? გამაგებინეთ რა? თვითონ თუ დაიჯერებდა, მე რომ მოვმკვდარიყავი და მერე გავცოცხლებულიყავი? თვითონ დაიჯერებდა? არა, არა, მგონი, ჭკუიდან შევიშალე, საფლავებს ველაპარაკები უკვე.

ნინა

(მალხაზს) გესმის, რა გითხრა? თვითონ თუ დაიჯერებდაო.

მალხაზი

(საფლავიდან ამოვარდება, ნინას) არა, ის ხომ კარგად დაიჯერა, გია სალაძესთან რომ მიღალატა? უთხარი ერთი, ეგ ხომ კარგად დაიჯერა?

ნინა

(სულიკოს) გაიგონეთ?

სულიკო

(ნინას, ცინიკურად) ჯერჯერობით მკვდრების არ მესმის, რისთვისაც ბოდიშს გიხდით!

ნინა

(სულიკოს) ის რატომ დაიჯერაო... მაშინო...

სულიკო

(ნინას) რაო, რა მაშინო?

ნინაო

(სულიკოს) ისაო, მაშინო...

მალხაზი

(ნინას) ჰო, ჰო, ჰკითხე, რას გიპასუხებს. ის ხომ კარგად დაიჯერა, ლოგინში რომ წავასწარი, ვისთან ერთადაც იწვა! უთხარი, უთხარი...

ნინა

აიო, მაშინო, რომ მოვედიო, გია სალაძეც ხომ მკვდარი იყოო. ის რატომ დაიჯერაო.

სულიკო

(ნინას) და თქვენ გჯერათ, რომ გია სალაძე მართლა მკვდარი იყო? ამ სისულელეს როგორ დავიჯერებ.

მალხაზი

(ნინას) აჩვენე საფლავი.

ნინა

(სულიკოს) აიო, აიო მისი საფლავიო *(მოშორებით, გორაზე მიუთითებს. იქ ხომ გია სალაძის საფლავია).*

სულიკო

(ნინას) ყველა მამაკაცს ქალისგან გაქცევა რომ უნდა, სასაფლაო თუ გაიკეთა, მთვარეზე უნდა დავიწყოთ დასაფლავება. კარგად მოუფიქრებიათ.

მალხაზი

(ნინას) ხედავ, ხედავ, არაფრის სჯერა. დაკარგა ყველაფერი, სულ წახდა. რას გეუბნებოდი?

ნინა

(მალხაზს) რას იზამ, ასეა, ქალებს აღარაფრის სჯერათ.

სულიკო

(ნინას) ქალები რა შუაშია, გამაგებინეთ?! ქმარი მკვდარი მეგონა, ერთ მშვენიერ დღეს მეცხადება და მიმტკიცებს, საიქიოდან გამოვიპარეო. როგორი დასაჯერებელია? მაგას მე სულელი ხომ არ ვგონივარ? არა, იქნებ მითხრას, მიქელიც მკვდარი იყოო?

მალხაზი

(ნინას) როგორ, მიქელიც? მიქელთანაც მიღალატა? მაგასთანაც? ღმერთო!

ნინა

(მალხაზს) ვიცოდი მე ეგ. არ გეუბნებოდი.

მალხაზი

ღმერთო...

სულიკო

თქვენ საიდან იცოდით? იქნებ, მისი სასაფლაოც დამანახოთ? *(მაყურებელს)* არა, ყველამ ერთად მოილაპარაკეს, რომ მკვდრები არიან?

ნინა

(სულიკოს) კი მაგრამ, ხომ დამარხე შენი ქმარი. ის ხომ მაინც გჯერა, რომ დამარხე?

სულიკო

(ნინას) მე უკვე აღარაფრის მჯერა! მოკლედ, მალხაზ, თუ ცოცხალი ხარ, გამოდი და დამელაპარაკე და თუ მართლა მოკვდი, იყავი მკვდარი, ოღონდ ვიცოდე, ვიცოდე, რომ ქვრივი ვარ! რა გახდა ერთი ქმრის დამარხვა? არ მაქვს უფლება დანამდვილებით ვიცოდე, მომიკვდა ქმარი თუ არა? ხომ მაქვს მე ამის უფლება?

ნინა

(მალხაზს) გაეცი პასუხი.

მალხაზი

(ნინას) ჩემზე უკეთ შენ ახერხებ ხოლმე.

ნინა

(სულიკოს) მე სულ იმას გავიძახი, რომ აქედან მკვდრების გაქცევა არ შეიძლება. მაგრამ აირია ქვეყანა, კანონი აღარ კანონობს და უწესრიგობაა ყველაფერში.

სულიკო

(ნინას) თვითონ რას ამბობს?

ნინა

(სულიკოს) რა უნდა თქვას? ზის აგერ და ჩუმადაა.

სულიკო

(ნინას) და რას აკეთებს?

ნინა

(მალხაზს აკვირდება) რა ვიცი... ზის თავისთვის.

სულიკო

ხომ არ ტირის?

ნინა

(სულიკოს) არა. ფიქრობს.

სულიკო

(ნინას) ესე იგი?..

ნინა

(სულიკოს) კი, ნამდვილად ქვრივი ხარ.

სულიკო

(ნინას) ღმერთო, რა უბედური ვარ... როგორ მეგონა, რომ ცოცხალია... *(ქვითინით საფლავის ქვაზე ჩამოჯდება).*

ნინა

(მალხაზს) ხედავ, ბიჭო, რომ უყვარხარ?

მალხაზი

(ნინას) ეგ სულ ტიროდა.

(სულიკო ტირის).

ნინა

(მალხაზს) მიდი, ბიჭო, დაამშვიდე. უთხარი, რომ შენც გიყვარს. უთხარი, რომ...

(ნინას სიტყვებზე სულიკო ტირილს უმატებს).

მალხაზი

(გაბრაზებული ბოლთას ცემს. ნინას). არ მივალ.

ნინა

(მალხაზს) ნუ ხარ ჯიუტი.

მალხაზი

(ნინას) ორჯერ მიღალატა. კიდევ მე მივიდე?

ნინა

(მალხაზს) მიდი, ბიჭო, ხო ხედავ ტირის.

მალხაზი

(ნინას) არ მივალ.

ნინა

(მალხაზს) იმიტომ, რომ არ შეიძლება გარეთ გასვლა. გეუბნებით ყველას, მაგრამ არ მიჯერებთ. იმას თავის ცხოვრება აქვს უკვე, შენ – შენი. ყოველდღე მოდიოდა, გივლიდა, გეფერებოდა. აღარ გახსოვს? ვერ ხედავ, წლობით არ მოდიან სხვის საფლავებზე. რომ არ უყვარდე, დარჩებოდი ჩემს ანაბარა.

მალხაზი

(ნინას) რატომ მიღალატა, მითხარი, რატომ გამყიდა. თუ ვუყვარვარ, მითხრას მაშინ, რატომ დამამცირა ასე?

ნინა

(მალხაზს) მიდი ახლა, დაამშვიდე.

მალხაზი

არა!

ნინა

(მალხაზს) ტფუ!

სულიკო

(ცრემლიანი თვალებით) არ მაპატიებს?

ნინა

(მალხაზს) ჯანდაბა შენ! *(სულიკოს)* მე რა ვიცი. *(ბუზღუნით, სასაფლაოს იმ ადგილისაკენ მიდის, სადაც მეგობრების საქეიფო მაგიდა იდგა).* სტალინის დროს, კაცო, ვინ გაბედავდა ამას. ჩემს ახალგაზრდობაში, როგორ, ერთი მკვდარი რომ გაიპარებოდა, მთელი სასაფლაო ამაზე ლაპარაკობდა! ახლა დადიან ისე, ვერ გაიგებ, სად უთენდება და სად უღამდება კაცს. რას გავს ეს? ამის ბრალია ყველაფერი.

(გახსოვთ ალბათ ეს რკინის მაგიდა, თენგულა ასათიანის და ბისმარკ კაპანაძის საფლავებთან რომ დგას. მაგიდა ნათდება. მას თენგულა ასათიანი და ბისმარკ კაპანაძე უსხედან. სახელდახელოდ სუფრაა გაშლილი და საუბრობენ. კოჭლი ნინა

მათ ემსახურება. მცირე ხნით, ცრემლიან სულიკოს და მალხაზ ქუმსალიას დავტოვებ ისე, როგორც იყვნენ. სულიკო მალხაზ ქუმსალიას საფლავის ქვაზეა ჩამომჯდარი და ცრემლებს იმშრალებს. მალხაზი ბოლთას ცემს. ახლა მისი ნაბიჯი აღარ არის ისეთი ჩქარი და აგრესიული).

ბისმარკი

ახლა მე შენ გეტყვი. ჩამოვასხა ჯერ. *(ჭიქებში სასმელს ასხამს).* შენ თუ იცი, ყველაზე უცნაური ხალხი ვინაა?

თენგულა

ნამდვილად.

ბისმარკი

გელაპარაკები მე შენ. ყველაზე გაუგებარი, თავს და ბოლოს რომ ვერ გაუგებ, აი, ის ხალხია ეგენი.

თენგულა

ეგრეა.

ბისმარკი

ხო შეიძლება, რომ მიხვდე, გაიგო რა უნდა? არა! ვერაფერს გაუგებ.

თენგულა

გაუმარჯოს.

ბისმარკი

ქალს რომ ცისფერი თვალები ექნება, აი, ეგ არის ყველაზე საშიში. უყურებ ამ თვალებს და სხვა ყველაფერი გავიწყდება, არადა, სულში, აი აქ, სულში ხომ არ ახატია ეს ცისფერი თვალები? მითხარი ახლა, რითია შავთვალა გოგო ცისფერთვალაზე ნაკლები?

(თენგულა სვამს).

ბისმარკი

გეკითხები. არა, რატომ უნდა იყვნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ცისფერთვალა ქალები? აი, რატომ?

თენგულა

მე რა ვიცი, კაცო. მე კი არ მყავდა ცისფერთვალა ცოლი.

ბისმარკი

აი. ამ ტვინში ჩამახედა, ცოლად რომ მომყავდა! დამაბნია, გესმის, დამაბნია, აი ზღვისფერ თვალებს რომ ვუყურებდი, მეგონა, რომ ზღვასავით გოგოა-მეთქი და გამაგიჟა. ახლა, ახლა რა გამოვიდა? ამ თვალებმა რომ მომატყუა და სულში ჩავიხედე, კი დავრჩი მარტო.

თენგულა

მარტო რატომ? მე ვარ აგერ, მალხაზია, ნინა გვივლის.

ბისმარკი

გვივლის ნინა. კი, რაც მართალი მართალია.

(კოჭლი ნინა უცაბედად დააცემინებს).

ბისმარკი

(ზურგზე სამჯერ ხელს რბილად დაარტყამს). ჩვენს მოსვლამდე არაფერი გეტკინოს...

ნინა

(უკმაყოფილოდ) უჰ, ისე აგიხდეს ყველაფერი...

თენგულა

(მალხაზს გასძახებს) მალხაზ, მოდი შე კაცო, მოიყვანე შენი ცოლი და მოდი აქ.

მალხაზი

(სულიკოს) მივიდეთ, უხერხულია...

(სულიკო დგება. არ მკითხოთ ახლა, როგორ მოხდა ეს ამბავიო. იფიქრეთ, რომ ეს დრამატურგის სურვილია. სულიკომ მალხაზის გაწვდილ ხელს ხელი ჩაჰკიდა. მაგიდას მიუსხდნენ).

თენგულა

(მალხაზს ჭიქას უვსებს. სიმღერას იწყებს) მრაა... (ბისმარკს) ამყევი შე კაცო. მრაავაა...

ბისმარკი

აალლჟა�ა...

თენგულა და ბისმარკი

(ერთად) აამიიეერრ...

მალხაზი

გაგიმარჯოთ. *(სვამს).*

(ჩუმად, მორიდებით, დარცხვენით სასაფლაოზე გია სალაძე და მიქელი შემოდიან. ეტყობათ, რომ სუფრასთან მისვლა უნდათ, მაგრამ ვერ ბედავენ. პიესის დასასრულამდე იდგებიან ასე, უცხოდ, გარიყულად).

თენგულა და ბისმარკი

(ერთად) მრაავაალ...

მალხაზი

(მათ აჰყვება) ჟაამიეერრ...

(განათება იცვლება. სცენა ნელა ბნელდება. კოჭლი ნინას, მიქელის, გია სალაძის და გარდაცვლილი მეგობრების სიმღერის ფონზე განათებული მხოლოდ ცოცხალი სულიკო და მალხაზის ბიუსტი რჩება. მალე ისინიც სიბნელეში უჩინარდებიან).

დასასრული